



თეატრი სსსრში

ათეატრთ სალატრატორთ 'ქერნალი

1915 მიიღება ხელმოწერა 1915 წ...თეატრი და ც'ოვრება"-ზე

18 იანვარი



ვოლკოვ. ნიკ. გ. გვიშვიანი
მწერალი ქალის ბარბარე ვოროჯაძის
ქალის შვილი, ოსმალეთის სახლდარ-
ზე ბრძოლის დროს მოკლული.



გიორგი ივანეს ძე თსერელი
ძველი სტენის მოყვარე, ქ.
თბილისის ხმოსანი და საადგ-
მაბელო ბანკის ტეხნიკოსი.
დაჭრილთა შრუენველ კომისიის
წევრი. დაჭრილ მეომართა მი-
ღების დროს სახადით გახდა
აფდ და 15 იან. გარდაიცვალა.
უანგარო, თავდადებული და
უმწიკვლო მუშაკი იყო.



გიორგი ჯალკიანი
ქაშეთის მედავითნე, პარ-
თული სასულიერო მწიგ-
ნობრობის მკოდნე, საეკ-
ლესიო წიგნების ცნო-
ბილი მკითხველი დამგა-
ლობელი. გარდაიცვალა
14 იანვარს.



შინაარსი:

1. მეთაური — ეროვნული თავისუფლება 1
2. ივ. გომართელი — აკაკის ავადმყოფობის გამო " "
3. გრ. მეგრელი შვილი (მთის ნიავი) — ლტოლვა, ლექსი 3
4. დ. თურდოსპირელი — ღაღადისი " "
5. გიგლა მეტუეი — თეატრის ისტორია II ჩანეთის თეატრი 4
6. ა. შანშიაშვილი — ქალი გრძნეული; დრამ. პოემა 1 მოქ. (გაგრძელება) 5
7. ნ. კეცხოველი — ძმებს პა'უხი 8
8. ი. მჭედლი შვილი — სასაფლაოზე, 7
9. ზ. დათიაშვილი — ორი სურათი " "
10. იოსებ არიშთიელი — აეთის რკინის გზა 9
11. გ. სავარელიძე — ე.პ.პ. ფოტოგრაფირების კ. ნეკოტების გამო 10
12. რ. ჯიბილ — თავი გახუჭვა (გურული სცენა) 11
13. მიხ. აბრამიშვილი — რიტყვაა გრიშაშვილის პოეზიაში (გაგრძელება) 12
14. ი — ელი სვენის მუხაკა მელქა აჯიმაშვილი 13
15. გიორგი ჯაბადარი — დ ქცია 13
16. ქართული სახიობა: 14
17. რედაქციის განმარტება 14
18. წერილი ამბები 15

ორშაბათს, 19 იანვარს 1915 წ.

ქართ. მსახ. ამხანაგობის მიერ წარმოღვენილი იქნება ფრანგთა მწერლის შ. ლენგოელის ცნობილი ზეის; იაზინელთა ცხოვრებიდან

ს ა ი ვ უ ნ ი

დრამა 4 მოქმ. თარგმ. ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეობს მთელი დასი და თანამშრომელთა მთელი ჯგუფი დასაწყისი საღამოს 7 1/2 საათზე ადგილების ფასი 1 მ. 20კენ — 10 კ-მდე რეესისორი ალ. წუწუნავა

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ა ი

კვირას, 18 იანვარს 1915 წ.

ახალი კლუბის დაზაბაში გაიმართება

ლ ე ქ ც ი ა

პროფ. ივ. ა ჯავახიშვილი წაიკითხეს: ქართ. სამართლის ისტორიიდან მე 8-14 სუკს ლექსა გაგრძელება 8 საათს. დასაწყისი სრულს 11 1/2 საათზე. ადგილების ფასი 1 მ 50 კაპეიკიდან 50 კაპ. მოწაფეთათვის 25 კ. ბელეუები იეიდება ახალი კლუბის შორიკე კანას კაცთან

და, წყო ხელმოწერა 1915 წ.

სალიტ-საპოლ. და ეკონომიურ გაზეთი 1915 1 იანვრიდან „შრომა“ ზე წელიწადი დაიწყო. გაზეთი 1915 1 იანვრიდან გამოვა ყოველდღე წინანდელი რედაქციით გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ ახალი ძალები.

წლიურ ხელის მომწერლები პრემია მიიღებენ ბიეტორ ჩერნოვის წიგნ ადრელსოფიური და სოციოლოგიური ეტიუდები (ქართულ ენაზე, 300 გვ.) არა ხელის მომწერლებისთვის წიგ. ელირება 2 მ. ბაზმთის შპსი: წლით — 7 მ. ნახევარწლით — 4 მ. ერთი თვით 80 კ. ცალკე ნომერი 5 კ., სახლბარ გარედ ორჯერ მეტი. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა შეუძლიათ ნაწილ ნაწილ, ხელის მოწერისას — 3 მ. 1 აპრილს — 2 მ. 1 ივნისს — 2 მ. რედაქცია ღია ყოველდღე დილ. 9 — 2 ს. საღ. 5 — 8 ს. მისამართი: წერილებისა და ფულისათვის: Кутаись ред. «ШРОМА» почт. ящ. № 47.

შუბრალი

„თეატრი და სხობრებ“

გასხვილი თბილისი და შრომისა კარდებზე ურანდ-გაზეთის გამრდელე კატორა

„მანდიბა“

გორგი მეტ. მახარაძე

მახვილი პრინციპი, № 18, ფოსტის უფიი № 21

შუბლა ბაშეიკელთ. თბილისის და შრომისათვის მს. უნდა მიმართოს.



მწუხარებამ დაამძიმა მისი ფრთები. ძირს დე-
დამიწაზე დაეშვა და თვალთავან კრემლები
გადმოსცივიდა: ჩაგრულთა და წამებულთა ტან-
ჯვამ მას ტირილი ასწავლა.

დიდხანს იჯდა ანგელოსი ფიქრებში
გართული. ცისკრის ვარსკვლავმა ამცნო მას
დრო ზეცას დაბრუნ ბისა

ფრთები გაშალა, აფრენა დააპი ა, მაგ-
რამ ფრთები ისევ ძირს ჩამოეშვა. ზეცას თა-
ვი დაწებებ, უბედურთა შორის დაჩრია, უთ-
ხრა გულში.

ანგელოსი დარჩა ზეციური სი-
მოსელი უკუგდო და მიაშურა ხალხს, რომ
ქირიც და ლხინიც ხალხისა გაეყო, გაეზ-
არებინა.

ეს თქმულება მაგონდება ყოველთვის,
როდესაც აკაკის პირ ენებას ვითვალისწი-
ნებ.

ბუნებამ მას მისცა ყოველივე—ჩამომავ-
ლობიდან მოყოლებული გარეგნობამდე.

ის ეკუთვნის დაბადებით ბრწყინვალე
წოდებას—დიდი როსტომ წერეთლის შვილია,
და საპირადო გზას რომ დასდგამოდა, დიდ
წარჩინებას მიიღებდა.

მაგრამ აკაკიმ უარჰყო ყოველივე, რაც
ცხოვრების მეჯლისში პირველთა შორის
ალაგს უქაღდა,—წარჩინებული წოდებაც,
გვარიშვილობაც და ხალხს—დამცირებულ,
დაჩაგრულ, გაყვედვილ ხალხს—ამოუღდა
გვერდში, რომ მისი ბედი გაეზიარებინა, მისი
ცხოვრებით ეცხოვრა.

ბრწყინვალე წოდების ბრწყინვალე ახალ-
გაზრდამ, რომლისათვისაც ღია იყო კარი
საპირადო სამოთხისა, უარჰყო ეს წოდება ში-
სის სამოთხით და თავისის ნებით ძირს ჩა-
მოეშვა—ჯოჯოხეთში, რომ ტანჯულთ და
წამებულთ გვერდში ამოსდგამოდა.

თუ ეს ძნელია ჩვენს დროში, იმ დროს,
როდესაც აკაკი სამწერლო ასპარეზზე გამო-
ვიდა, შეუძლებელი იყო.

მაგრამ დიდ ბუნებაში აფეთქებულმა
სიყვარულმა სამშობლოსამდი სასწაული მოახ-
დინა და აკაკიმ შეუძლებელი შესძლო,—
დასძლია და გადალახა ის, რისი
დაძლევა და გადალახვა ხვედრია მხოლოდ
რჩეულითა.

გვარიშვილობამ, ოჯახმა, განათლებამ,
პაშინდელმა გარემოებამ და საზოგადოებრივ
ცხოვრების პირობებმა აკაკის ყოველივე
უხვად მიანიჭა, რომ ის მაღლა, ცხოვრების
თავში დარჩენილიყო და პირად განცხრომასა
და ფუფუნებაში ტკბილად ეცხოვრა.

მაგრამ აკაკიმ უარჰყო ყოველივე და
დაბლა დაეშვა, ძირს ჩამოვიდა, დაჩაგრულ-
თა და უბედურთა შორის დაბინადა.

რამდენათაც ბრწყინვალე იყო აკაკის
საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩამომავლო-
ბით, იმდენად ბრწყინვალე იყო და არის
აკაკის ნიჭი. ასეთი ძლიერი ნიჭი ხშირად
უკუგდებს ხოლმე სოფელს მისი ქირვა-
რამით, მოსწყდება დედამიწას, აფრინდება
მაღლა და იქ ოცნების თვალგაღწევედნელ
სამთავროში დანავარდობს გალაღებული და
ჰქმნის სურათებს მსოფლიოსათვის.

აკაკი აქაც აკაკი დარჩა.

რას ნიჭია მსოფლიო, როდესაც ჩემს
პატარა სამშობლოს ბნელეთის, ბოროტის და
უკუღმართობის ბრქვალბებში სული ეხუთებაო,
უთხრა მან თავის მუხას; თვისი ნიჭი ოცნე-
ბის სამთავროს გამოჰგლიჯა ხელიდან და
მთელი მისი ძლიერება თავის ხალხის ყოველ-
დღიურ ცხოვრებას, დღიურ ქირ-ვარამს ამსა-
ხურა; თვითონ კი ამავე დროს ოცნების
შვილათ დარჩა.

ადამიანთა შორის აკაკი ყველაზე უფრო
ადამიანია:

შუა კატი ვარ, უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცასა.

მასში მოიპოვება ადამიანის სუსტი მხა-
რეც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის წმინდაა,
როგორც ის ანგელოსი, რომელმაც ზეცა
უარჰყო ტანჯული ადამიანის გულისათვის და
წმინდა, სათაყვანებელ არსებად დარჩება
მთელი ქართველი ერის გულში

ერთ თავის ლექსში აკაკი თავის თავს
გარემოების საყვირს უწოდებს. ძვირად ნა-
ხავთ მეორე პოეტს, რომელიც ყოველდღიურ
ცხოვრებას კვალდაკვალ გაჰყოლოდეს,
რომელსაც ყოველდღიურობა პოეზიის საგნად
გაეხადოს.

სხვა გვარად ვერც მოიქცეოდა ის პოე-



ტი, რომელიც მუდამ ქვეყნის კირით იყო დატვირთული.

ამავე დროს თქვენ ძვირად ნახავთ სხვა პოეტს, რომელიც აკაკისავით ეკუთვნოდეს ზეცას.

აკაკის პოეზიაში ოცნება და სინამდვილე ერთი მეორის დამატებაა; საღ თავდება სინამდვილე და საღ იწყება ოცნება, პოეტმა არ იცის: შესაძლებელი ოცნებაში, შესაძლებელია მისთვის სინამდვილეშიც.

ამაყი, კეთილშობილი, სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული, ჭეშმარიტი დემოკრატი, პირდაპირი, გულახდილი, შეუპოვარი, უმიშარი ზღაპრული ჰერკულესივით დასტრიალებდა ჩვენს ცხოვრებას თავს და გზას უკაფავდა ქართველ ერს ბრწყინვალე მომავლისაკენ.

დღეს ჩვენი სიამაყე, ჩვენი დიდება, ჩვენი საყვარელი აკაკი მძიმე ავადმყოფია. ვინატროთ, რომ მალე განიკურნოს და ძველებურად წაგვიძღვეს წინ თვისი ბასრი კალმითა და ტყბილი ენით.

ავ. ჯ. მჭედელი

ლტოლვა

ვერაინ მნახავს მე სრულ ზენდიერს, ვერაინ მნახავს სასოწარკვეთილს, რადგანც მარად ეამს იცვლიება ლტოლვა და გაკვეთილი მიჰსდევს გაკვეთილს. დღეს თუ შემოპრობს ერთი სურვილი, ხელ ვემონები სულ ხალ ვნებას, ზეგ ჩემ შემქნილ კერას თვითონვე ვამსხვრევ, ვერ ვეთვისები ერთფეროვნებას და, ვით არწივი, მძლავრ ფრთებიანი, ეამსა დილისას მიჰქრის შხისაკენ, ისე მიჰქროლავს სული ლტოლვილი იღუმლობით სავსე ცისაკენ. მე მინდა მივსწვდე ზეცას, განგებას, მოჰვერა წყურვილი აზრის, გულისა, მე მსურს გავიგო, რაა მიზანი ჩვენი სიკოცხლე აღსასრულისა!.

გ. მებრელიშვილი (მთის ნიავი)



პართენ ალ. გოთუა.

პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და ქ. თბილისის თვითმართელობის ხმოსანი. ქალაქთა კავშირის მხრით გასულ კვირას ჭარბოხის ხეობაში იყო, მოწინავე პოზიციებზე მომქმედ ჯარში ტანისამოსისა და სადღესასწაულო საურჭლებს დასარიგებლად.

ღ. ჯ. ლისი

I

— ნააუუ... ნააუუ... ნააუუ... — სტირიან ზარების ხმები და ეფინებიან ზეფირისაგან ფინებულს წალკოტს; ფრთხილი ნისლივით ეფინებიან მგლანქოლიური ხმები ზარებისა წალკოტს და ეშუდარებიან ყურად ილოს მათი დაღადისი... იღმოს მათი სულთქმა — ვალალი .

ნააუუ... ნააუუ... ნააუუ . .

ახ, რა ამოუტირებელი სევდა, რა გულის მოწყველელი კენესაა შიგ ჩაქოსოვილი...

ჰვეითინებენ ზარები, მაგრამ არ ესმის წალკოტს, იგი მთვარის სხივებისაგან მინახეული სივლემს, ეძლევა ტკბილს ძილს...

ვარსკვლავნი ძილისპირულს აწკრიადლებენ... ნანინას უგალოზენ სიჩუმის კალთებზე თვალმიღულულს წალკოტს...

— სსს!.. მსუბუქად, მჩატედ აიპარა ვარსკვლავებთან სიო.

— სსს?.. წალოკოს ჩაეძინა .. ახლა მოკ- გვრეთ გრძნეული სხივებით ლაქეიდროფანი სიზმარი.

სძინავს წალოკოს.

ვარსკვლავნი უქარგავენ ზღაპარულს სიზმრებს.

მთვარის სხივები საუცხოო გოროზად ეხვევიან მდელიოზე აგრუზულს ქალაქებს...

ზარები კი ჰვალაღებენ...

ზარები იღველფებთან მწუხარებით ..

II

სულო ჩემო, შენც მიპსვენებინარ სარე- ცელზე და მიგულუნია იებვიით ნახი თვა ლები...

თი, ვარსკვლავნი გრძნებამ ერთხ ლ კიდევ გაგიპო ძოწნი და მიგაძინა.

პირბადრმა მთვარემ გაღაღებურა სხივთა ოქსინო. .

ტრფობის მანგისგან მთვარაღმა ჩაგირაკაკა ძილისპირული ..

შენ მიგეძინა და სიზმართ დასი ავითა- მაშდა სათის თვალმზე...

შენ მიგეძინა, მე კი ვფრქვევ მდელიარე ცრემლებს მე ესტირი, ვკენესი, ვით ორძა- ლი ობოლ ტლუ მწყემსი.

სულის დგმაო, შენ ეს არ გესმის?

არი გესმის განა ვალაღება შენის მკობე- ლის!

პასუხს არ მაძლევ. .

შენ გძინავს ტკბილადა. .

შენ გძინავს ნახად და გევზანება მეშვი- დე ცა ფირუზოვანი.

შენ გძინავს, გძინავს, გძინავს ტკბილად ზღაპრის ზღაპარო.

გძინავს უჯავროლ...

კით შეისმენ ჩემსა ლილღისს...

დ. თურდოსპირელი

თეატრის ისტორია

II. ჩინეთის თეატრი

ჩინეთში თეატრის არსებობა უძველეს დროიდან, 720 წლიდან ქრისტეს დაბადებამდე, დაწყობ. მაშინ სიუხინი სწერდა ზეიუსს, რომლებსაც სცამდენ კადვე ჩინეთის თეატრებში. ჩინეთის თეატრს დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი დღევანდელი თეატრი მაინც მისივე უძველეს თეატრისა ან ბუერთ არ განსხვავდება. გაეცნობით რა ჩინეთის დღევანდელ თეატრს, შეინახეთ, რომ ის დღესაც თათქმის იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც მრავალი საუკუნის წინად იყო.

დღევანდელი თეატრის ამ გვარი მდგომარეობის მიზეზი ჩინეთის კარნაქეტილი ცხოვრებაა. ჩინეთში ამართულია კედელი და არ უშუაბენ უხვის არაფერს, სამაგიეროდ იცავენ თავის ძველთა ძველ კულტურა, შეინარკაბასა და სელოფებს. საზოგადოდ ჩინელები ახალს ძალიან ძნელად ითვისებენ და მათ უფსავლების არაფერა არ სწყაობ.

ჩინეთის ამ გვარმა ხსნათმა ჩინეთი დამსცავსა სიძველეთა მუზეუმს. ბუერი რამ ძველი ჩინეთში დღესაც შეინახული და დაცულია. აღსანიშნავია, რომ სოკიერთ რამეს, მიუხედავად ათასი წლითა არსებობისა, ძველი სხე მაინც არ დეჟერავს და ევოლიუციის კანონს არ დამორბილეთა. ძველი სხე აქვს შერჩენილი, სხვათა შორის, ჩინეთის თეატრსაც.

ჩინეთის თეატრი მართალია ველურთა— მიმიკურ ნიკების—თეატრზე მდლასდგას, მაგ-

რამ შესაფერ განვითარებაზე კი არ არის მი- სული. თეატრი განსაკუთრებით ხის შენობისა, სცენა პარტურთან ამაღლებულია, დეკორაციასა და ფარდას მოკლებულია. მსახიობნი სშირად სმარბენ ზარზე ჩამოსაფარებელ ნი- დაბს. ჩინური ზეისეთი უმთავრესად ზნეობრივი ხასიათის შინაარსისა.

ჩინეთის თეატრს და მამიკურ თეატრის შორის არის მსგავსება. როგორც იქ, ისე აქ, მოქმედებანი ხდება შეუჩერებლივ მუსიკის ერთი ჭანგის დაკვრის განმავლობაში. აგრედვე მსგავსად მიმიკურ თეატრისა, ჩინეთის თეატრშიც იგიან ქარაგმებ თ ლაზარავა

მოქმედების დროს, როდესაც ერთერთი მოქმედი უნდა მოკლავს, და როდესაც მხიობის კისერზე დაუდარებენ, მაშინ სცენაზე მისა- სხურე მოსვლავის სახესთან გაშლის წითელ დროშას და „მოკლული“ ხადხის თვალწინ სცენი- დან გარბას მისი გავლდის შემდეგ სცენაზე მოსამსხურე იატაკზე სდებს წითელ ზაღმს, რომელზეც გამოხატულია „მოკლულის“ ათევისა.

მოსამსხურის სცენაზე ფიფინა ვითომ არ უნდა შეხმნიო. გარდა მოსამსხურისა სცენა- ზე არის უფრისიც, რომელიც უხინის საზო- გადოების აზრს თეისას, რაც ხდება სცენაზე და ცნობებს იმასაც, თუ რას ფიქრობს ამა თუ იმ დროს ეს თუ ის მსახიობი. ესევე უფ- რთის თვალურს ადვენებს სცენაზე წესიერების დაცვასაც გიგლა მეზუკე



ქ ე ლ ი ბ რ ძ ნ ე უ ლ ი

დრამატული პოემა I მოქმედებად
(გაგრძელება. იხ. №თ. და ც. № 2)

ძნეო სალო!

სალო მიბრძანე!

ძნეო ცოცხალ ყვავილებს ჩემს გარშემო
რად არა ვებდავ?

განა ჩემს ბაღში დილის ნაშუადღარ იშლებად?
ოთახი მორთე ყვავილებით!

სალო გადის

მიმი!

მიმი მიბრძანე!

ძნეო შენ საუცხოვოდ ამზადებ ხოლმე
მუშკას და ამბრსა

ვნების ღვთაების მსხვერპლშესაწირად წა,
მოამბადე!

მიმი გადის

ეგონ!

ეგონ მიბრძანე!

ძნეო თმა დამივარცხნე ნაწნავებდად დამიწან
კობტად.

ხოლო წინ შავი კულულები დასტოვე ისევ.
ნელი!

ნელი მიბრძანე!

ძნეო შენ რაღას ელი? დაიწყე საქმე.
ნელი ფეხის ფრჩხილებს უღაზაზებს

ჰანგოს სიმღერა გარედ

ტურფავ, ტურფავ! შენმა ფიქრმა
სული ეშხით ამიძგერა;

შორეული მოველ ახლოს,
მსურს დაკადილს შენი მზერა.

აწ მიმიღე და გზა მომეც

მე დამწვარსა სიყვარულით;

ჩემი სულის ტკივილისგან

სხვა იცნება სიბრაღულით.

აჰ, მოველ ბროლის კოშკთან,

კვლავ დღე ნათლით მომედარა;

შემიფარე შენს ჩრდილ ქვეშე,

სიკან, თუ ტანჯვა ვით მეკმარა!

ძნეო რა მშვენიერი სიმღერა ისმის!

აგერ მოხდენით არც ერთს ჩემს სტუმბარს
არ უშლერია.

ღია! შენ მაგას მერეც ისაქმე.

წადი და უთხარ ჩემს ერთგულ ნანოს:

ვიდრე არ ვბრძანო, არ გაუღოს კარი მომ-
ღერალს!

ღია რათა?

ძნეო ასე მსურს!

არ იცი, თუ რომ გაუღრმავდა გულს მწუხარება-
რება

და დააფრქვია თვალმა ცრემლი და მდღელარება--
მაშინ მოსწყურდეს შეტის ღვლით გულს

ნეტარება.

ღია გადის

სიმღერა

ჩემი ცრემლი ჩანავს ასველებს,

ჩემი ცრემლი სისხლს ედარა;

შემიფარე შენს ჩრდილს ქვეშე,

სიკან, თუ ტანჯვა ვით მეკმარა!

ძნეო სარკეში კეკლუფობას და თან მღერის:

ვინც ჩემ ბაგეს შეეხება,

ბაგეს ვარდად აკოკრებულს,—

ალარ უნდა მოცილებო

სიამისგან მიმკვდარებულს!

ვნებით ხელში იზნიდება

და სოფლისგან იწირება!

ნანო შემოდაის

ვიშ, დედოფალო! რა ყრმა არის მოსული
შენთან!

ძნეო ვინ არის იგი?

ნანო ვინაობა ვერ გამოვიკითხე . .

მისდამი რაღაც მოკრძალებდა ვიგერ ენ მეგულში

და ვერ მივბედე! ხოლო ერთხელ

შორიდან ეჭვრიტე

და რა ტანადი, რა ლამაზი იყო ქაბუკი.

მერე თვალმე? უნათებდა, სხივებს ისროდა

ხავერდოვანის ტანსაცმელით მოკაზმულია.

შავ ქულზე ფრთა აქვს, წიღებ ხმალი და

კვლავ ხანჯალი.

ხელთ უკავია ე ლოსის ჩანგი ცხრაძალია.

თვისი მერანი მოშორებით მიუბაგეს ხვტე—

ღვთაება არის, დედოფალო, თვისის მშვენიე-

ბით!

ძნეო აბა, სარკმლიდან გადავხედავ!

ნანო მოვიპატროვით.

შენი ქიშკარი თუ კი სხვა დროს კარდია იყო,
ახლა მას რისთვის დაუკეტე?



ძნეო განგებ, ძვირფასო!

სარემელს გამოაღებს და ვადასახებებს:

ჭე, მომღერალო! ვინ ხარ, მითხარ! სიდან მოსულხარ? ეგ ჰანგი მამწნობს, სიყვარულით ღრმად გამ- სქველულხარ! მაგრამ გაბრუნდი! დასაღუბად მე არა მსურ- ხარ!

ჩემთან არ იცი, რა მოგელის, განა? არ სწუხხარ? **ნანო** ახ, რათა, რათა? აქ შემოსვლას რისთვის უკრძალავ?

ეგ მაგალითი, დედოფალი, პირველი არის! **ძნეო** განგებ! რას იზამს! დაე, ჰპოვოს დამწვარმა გლოვა!

ჩემია, ჩემი! უარს ვეტყვი და უფრო მოვა! მღერის ვინც კი ჩემს ბავეს ეამბორება, იგი ამ სოფელს განეშორება!

ჰანგოს ხმა

ო, შენსა ახლოს თუნდაც მოვეკვდე გაუხარელი, სულ არ ვიღარდო, შენს შუგს ვფიცავ და შენსა მთვარეს!

სულ არ ვიღარდო, რადგან ვიქმენ შენი მნა- ხველი!

რამ სანუგეშო უთხარ გულსა შენთვის მღელვარეს!

ძნეო დაღონებულა, უკმაყოფილო

ახ, ჩემო ნანო! ესეც მომბეზრდა, რომ ჩემს მშენებებს ემონებინა; ჩემთვის უსაზღვროდ თავგანწირულნი ვნების ტალღაში იღუპებიან.

ერთხელ მეც მსურდა ისეთს შეეყროდი, რომ მას დაეპყრო გრძნობა გულისა; ჩემზე ეუფლნა. ვით ნებით ძლიერს, შემესვა სიტკბო სიყვარულისა.

მე ბატონს ვეძებ და ხელში მრჩება მონა საბრალო, მონა ძლეული; ჩემზე მეტს ვეძებ და მცირე მხედება — ნუ თუ ბედი მაქვს ესრე წყეული?

ჰანგოს ხმა

ეჰა, მიჯნურო! შენსა მკობელს მომეც მე ბინა! იგი მაქმარე, რაც თვალითაგან ცრემლი მდინა! მიიღე ახლოს შენის ეშხით ესდენ ძლეული! მომეც გზა მცირე, სიყვარულით

ძნეო აჰა, არ გესმის, ძლეული! ვარ მე ძლეული!

ძნეო აჰა, არ გესმის, ძლეული! უკვე ძლეულა!

ნანო გული ჰქონია, როგორცა სჩანს,

უმწიკველი, ნაზი!

მოდო, ნუ მიწყენ და გავუხსნი იმ ჰაბუკს კარსა!

მისი ძახილი მოთქმისა ჰგავს და გლოვის ზარსა!

ძნეო სასწამიდან მსწრაფლ მოტრიალდება მაშ წადი! მაგრამ სურნელ წყალოში

ჯერ აბანავეთ.

მოკაზმეთ ტურფად, ჩემს დარბაზში შემოი- ყვანეთ.

და მეც მანამდის მოვირთვები, .. იგი სარტყელი არ უღდება მჭვირვალე კაბას სხვა მოითანე!

ქამარი მომეც, ეგვიბტე — მა რომ მისახსოვრა. ჩემი ფლოსტები დამაიფრცა საწოლ ოთახში, — მამაკაცს უნდა მოეწონო, ისე მოირთო.

ქალის პირველი საკითხია კოპწიად ჩაცმა. კვლავ სარკეში აკვლუტობს.

ეს გამჭვირვალე კაბა მართლაც საუცხოვოა. ჩემი სხეული მე თვით მომწონს

მასში მკართომარე.

აბა, აწ მზად ვარ! ჩვენს სალოცველს მსხვერპლი შევსწირით.

ტკბილის გალობით ძლიერება მისი ღალად ვყოთ.

ვენების ღვთაების ქანდაკ ოპორად ჩაუშვკრიფ- ლებთან. გალობა. მუსიკა. ძნეო შუაში სღვას. გალობენ.

ძნეო. ვენების ღვთაებაც! შენს წინაშე ლოცვას აღვაფენთ.

ამალა გაღაბს ენებაც ძლიერო და ნებიერო!

შენშია გრძნობა, შენშია გული.

შენით გვაქვს ტრფობა და სიყვარული!

ძნეო განთიადისას მიკრძალვებით ვაქებთ შენს სახელს

ამალა გაღაბს ვაქებთ შენს სახელს, აღვაპყრობთ რა ხელს!

გადიდებ მარად. შენ გვექმენ ფარად!

ძნეო შენი ერთგულნი ღალადსა ვყოფთ შენს ძლიერებას!

ამალა გაღაბს შენა ხარ წყარო



დაუშრეტელი,
და სანეტარო
ჩაუქრობელი.
შენა გმორჩილებს
მთელი სოფელი —
დიდოს მარად შენი სახელი

გალობენ და თან ხელჩაიკიდებულნი ცეკვით გარს უღლიან. ცეკვილებით შუამკობენ ძეგლს და სიმღერით გადიან ძნო მარტო რჩება ძეგლის წინაშე თავდახრილი.

ძნეო ო, შენ, ღვთაებავ სანატრელო,
მარად ცხოველო!

შენა ხარ იგი, შენს ერთგულს რომ
ძალას მანიჭებ!

შენის უშრეტის ცეცხლით ვაგზნებ
გულს მგზნებიარეს,

და შენს ტალღაში თაყსა ვიშვებ
ნორჩის სიკოცხლით!

განთიადისს ლოცვას გწირავ,
იყავ კურთხ ულ!

ძეგლს მუხლგებზე ეხვევა

შენა ხარ ჩემი მფარველი და დიდი სავანე,
შენს ძლიერებას ამდინარებ ჩემს ნახ ძარღვებში,

შენ ალევ მარად ჩემსა ძვლებს მომიბიბე-
რელობას,

შენ მიგზნებ ტუჩებს, მოარშიყის საამო-
რებლად.

შენ მინთებ ლოყებს აღისფერად და მხდი
მხურვალედ

შენით შემექმნა მე სიკოცხლე ესდენ საყვარელ,
შენ მე ძლიერზე სუსტ არსებას მამარჯვებ ნებ—

იყავ კურთხეულ უკუნიითი უკუნისამდე!
მე ოდეს ვკოცნი, იგი კოცნა შენგან მეგ-
ზნება!

მე ოდეს ვცეკვავ, იგი ცეკვა შენ შოამაგონე,
როს ვიღიებდი, ის ღიმილი შენ დაბიშვებენ!

ჩემი აღერსი, ჩემი ხვევნა, თვალთა ყუჟუნი,
ენების ღვთაებავ! შენგანა მაქვს თან დაყოლილი!

იყავ კურთხეულ უკუნიითი უკუნისამდე!
ნანო შემოადის მიიღებ სტუმარს?



ჯარის კაცი ისაკ ზ. მჭედლიშვილი
„გემოს“ კვანის ქაზნის დამფუძნებელ-წევრთაგანი, ოს-
მალეთის საზღვარზე ბრძოლაში დაჭრილი და ბაქოს
საავადმყოფოში გარდაცვლილი. დაკრძალეს გასულ
კვირას 13 იანვ. კუიის სასაფლაოზე კუბო გვირგვინ
ნებით იყო შემკული. ერთ მთვანზე ეწერა:
ქვეყანა ბურუსს მოეცავს,
თოფ-ზაზაზანი გრადლებს,
სეზვები გავის სისხლს სმენ,
ეორანი მადლა ტრადლებს!
მზე აღარ ბრწყინავს წინანდებრ,
პირზე გადუგავს ძაძება:
ზოგი შეიფას სწუსს, ზოგი ქმარს,
მამას სტირან ბაღლები.
და შენ დაუსტყვერი ბაძაშეიფას,
განგმიორფს...“ და სს.

პავლე მჭედლიშვილისაგან

ძვესეს პასუხი

ქვეყანა იღუპებოდა, დასდგომოდა წამი
უკანასკნელ, დღე ვანკითხვისა, დღე საშინელი.

და ოდესღაც ძლიერმოხილი, ყოვე-
ლივეს შემძლე ძვესე, ახლა ხითხითებდა; უხა-
როდა ქვეყნის დაღუპვა-განადგურება.

მე, უხსოვარ დროს, ცად ანაფერენმა,
ჰაეროვან ფრთებით გამოუქროლე ძვესეს და
შემეკითხე:

— ძვესე, რას ჰარობ? განა ღვიძლ
შვილის დაღუპვა განადგურებას?

— ჰო! ვხარობ მის დაღუპვას?— მომცა
პასუხი.

— და გნა რად?
— სანამ სკოცხლობდა, მუდამ ცრემლს
ვღვრიდი, ოდეს ვნდავდი მის არარაობას და
ახლა კი...

გულმა ჩემმა ველარ მოითმნა,
ალარა მსურდა მესმინა მ სი შემდეგი სიტ-
ყვები, შექმნიდა ცული, დასაძრახი არა
ეთქვა რა, რადგან წინად მეც იმ ცხოვრების
შვილი ვიყავ და მიყვარდა იგი. მოეშორდი..

ძირს კი, ვხედავდი, ქვეყანა იღუპე-
ბოდა...

ნ. კეცხოველი

ქ. მანიაშვილი

(გავრთველება იქნება)





სასაფლაოზე

შემოვიარე სასაფლაო, მკვდართა სამყარო,
 მარად მდუმარე, მოწყენილი და სამწყუხარო.
 იქ იდგნენ მდიდართ მატურები გასაკვირველნი
 და ფიცრის ჯერები, საწყალ კაცთა მომგონებელნი.
 მაგრამ ყოველი ქვის წარწერა მხოლოდ იყო ეს:
 „მოგვიგონებდეთ და ჩვენს ბედსა ყველა ტიროდეს.
 ბედნიერებით უკვდავებს ვედარებოდით,
 დღე ღამდებოდა, დილას ხარბად ველოდებოდით.
 მალე გათავდა სიხარული, ჩვენი დროება: —
 ბინძურ მატლებმა მოგვილოცეს ამოება.“



საქართველოს
გენერალ-ლეიტენანტი

პოდპოლკ. სერ რ. ხუნდაძე
 უფროსი ექიმი, ვარშავასთან დაქ-
 რილი მარჯვენა ხელში განკურნების-
 თანავე მომქმედ ჯარში დაბრუნდა.

აღსდქით მკვდრებო! დაუარეთ კარიდან კარსა
 და ვე უთხარით ყველა ცოცხალს, შვის მკეჭბარსა.
 მაგრამ იცოდეთ საფლაოში ძილს ფუქად მისცდებით:
 არ დავიჯერებთ, ვიდრე თქვენებრ ჩვენც არ მოვკვდებით!

ი. მჭედლიშვილი

მ რ ი ს უ რ ა თ ი

ფრთვებ აგინგლული ნელი სიო თავს
 ევლემოდა საუცხოვოდ გაფურჩქნისლს, აკ-
 ვირტებულს ბუნებას და მოფარფატე ლადი
 ქროლით ტკბილად აერყოლებდა. ნანაობ-
 და ბუნება, ნანაობდა ტიტო, მწვენე წიად-
 ში სანეტაროდ განრთხმული, და ბუნებასთან
 ერთად ჩემ ზეიმს ეძღვრდა... „ტიტო, ტი-
 ტო.“ გაუელვა სიგეჟაჯით დაფერილმა
 ხმამ და, გრძნობათა ბურანით მოცულ ტი-
 ტოს, ჯადოსნურად მოღიშბარი სურათი განუ-
 სახიერდა. ხატების ციური მშვენებით ტიტოს
 თვალები აუჩუქუნდა. მოკუმული ზაგე იმ-
 გვარად აუთრთოლდა, თითქო იძახდა:
 „ღმერთო! ვინ შესწვდეს შენგან ქმნისლ
 სოღერად მშვენიერებასა“?... გაუმადლად სვერე-
 ტდა ტიტო ლამაზს. სვერეტდა ვატაცებით
 და მოღუნებულ ძარღვებში სიცოცხლის
 ჩქეფე ფურქვევოდა. გრძნობით აღსავსე გული
 იღუმალ სიმებს ხმაჩამედილად აედერებდა
 და სიმთა უღონო ბგერაში ირთებებოდა
 კდებამოსილი ასულის ქება:

„როგორ უქროლავს, წყუქურს, აბრე-
 შუმის თმა მარმარილოს დათლილ მხრებზე.
 როგორ უქროიან, მცინარობენ,

ვერცხლის ტბაში მოლივლივე გიშრის თვა-
 ლები.

„არ რიგად ჰფარვენ ფოთლის ზაგენი,
 მიჯრად მიწყობილს ბროლის კბილებსა.“

— ქეთო! შენ ხარ ვე წარმტაცი მოჩვე-
 ნება? — წამოიძახა გრძნობით ნაქარბმა ტიტომ
 და... გაქრა წარმტაცი მოჩვენება, გაქრ
 ქეთო.

ბნელოდა. გაავზნებული ქარი გულსა-
 კლავად ზუზუნებდა, შეკრილი სახლის კუნ-
 ტულში ოხრავდა, კვენსოდა.

ზაგი ფიქრებით გარემოცული ტიტო
 იჯდა საფარქელში გამტყერიანებულ ფანჯ-
 რის წინ და თავის ბედს კრულავდა, სევ-
 დიანი, სევდის ყორნებით უმოწყალოდ იკორ-
 ტნებოდა... „ტიტო, ტიტო!“ გაუეღვა ნაღ-
 ლიანად ამომახილმა სახელმა და მწყუხარე
 ამომახილს თან მოჰყვა მოჩვენება ქალი:
 დაშრეტლი თვალებით, დაღეკილი თმით,
 ფარდალალა კბილებით, აფორიაქებული
 წარბ-წამწამით... გულბრაზიანმა ქარმა ფან-
 ჯარას მძლავრი ტალღა შემოკრა და ააწ-
 კრიალა. ტიტოს ფიქრები შეუშფოთა...
 გაქრა ხეული მოჩვენება, გაქრა უგვანო
 ქეთო...

გ. დათიშვილი



კახეთის რკინის გზა



იორის ხიდი 60 სავ. სიგრძისა

თითქმის თექვსმეტი საუკუნეა, რაც წმ. ნინომ ახალი სჯულის სხივი შეიტანა კახეთში და ერთ სულიერ განახლების გზასე გამოიყვანა..

დღეს კი, ამ თექვსმეტი საუკუნის შემდეგ, ქართველთა განმანათლებლის ხსენების დღეს, კახეთისკენ გეჭქროლავ რკინის გზის მატარებელმა, ქვეყნის ნივთიერად წარმატება-აღმორძინების საშუალებათა გამტარებელმა..

14 იანვარს დაიწყო კახეთის რკინის გზის დროებითი მოძრაობა..

გვიდა ზირველი მატარებელი და ტურფა კახეთის ლად მცხოვრებელთ შეგწივლა, გამთი-

ლემიან, განახლებასა და წინსვლის გზას დაადგენ, ნივთიერადებ-მიწეუმობის ფერსულში ჩაებნენ, კულტურულ სვლას გეჭვენენ...

კახელთა შინაწარმოებამ გარეშე ბასარი უნდა იხადოს, კარედ გავიდეს და საკუთარ ნაშრომს ფასი დასდოს, ბუშტაბი აუჩინოს.


შ.ნ მოკალათებულ ქართველ ინტელიგენციასაც საშუალება ეძლევა, ახლა მინდ შეისწავლოს სამშობლოს ერთი უკეთესი კუთხეთაგანი.. უკვე სოფელი და-

მედროვე იარაღით — წარმოყო-სამრეწველო იარაღით — იჭურვება..

სხანს თვითმოქმედების გზასე გამოვდივართ... ეს კი თავლებია ჩვენის აღმორძინებისა..

ამიტომაც დღეს ვაღად გვძევს მადლობით მოვისხენით ისინი, ვინც ეს საქმე დაიწყო და აღსრულებაშიაღ მოიყვანა, სიტუვს საქმედ აქცია.. მადლობით მოვისხენით ის შვიი მუშებიც-კი, რომელთაც ერთი ქვა მანინ ჩაყადეს ამ გზის სამორკველში, ერთი ბელტო მანინც გაადაბრუნეს..

გიხაროდეს, ჩემო ტურფა კახეთო! თექვსმეტი საუკუნის წინად თუ სულიერ განახლებას,



ჩალაუბნის ქედზე

ახალი სჯულის მიღების ზარმა დაგარეკა, დღეს ნივთიერ აღორძინების, ეკონომიურ განვითარების ზარა გარეკს...

მაშ ფხიზლად და მარჯვად, რომ ამ გზამ შერ განსრულებოს და არა დაგვაროს, შეკავტოს რამე და არა დატკალოს...

გზა მშვიდობისა, ჩემის სანშობლას განახლებების გზაა!.. იოსებ არიმთიელი



კოგ. პ. ფოცხვერაშვილის კონსერვატივის გამო

ჩვენ წინა წერილში დავიპოვეთ ფუგას (მუშლი მუხასა) გარჩევას, მაგრამ ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო წერილი დაგვივიანდა, ამ ხნის განმავლობაში-კი მუშლი მუხასა მეორედ იყო ასრულებული 20 ქრისტეშობისთვის და მახალხო ფურცელმა უკვე მოსწრო პიესის დაწვრილებით გარჩევა, როგორც თეორეტიულად, აგრედვე იდეურად; ამიტომ ჩვენ დაგვარჩენია მართა იმისი თქმა, რაც სხვებს არ უთქვამთ, ან კიდევ ნაკლებ უთქვამთ ამ ფუგაზე. *)

ბ. ფოცხვერაშვილის ფუგა არ ეკუთვნის ნაშვილს, ანუ სასტიკ ფუგას, რომლის ფორმაც აშენებული უნდა იყოს სასტიკ კანონებზე; იგი ეკუთვნის თავისუფალ ფუგას, სადაც თემად აღებულია მუსიკალური ნაწარმოები (ამ შემთხვევაში მუშლი მუხასა), ფორმა-კი მიკუმული აქვს ფუგისა.

აქ ჩვენ საესვებით უნდა დავეთანხმოთ იმ პირთ, რომელთაც აღნიშნეს, რომ ფუგა „მუშლი მუხასა“ დიდებული ნაწარმოებია მართლაც და ჩვენ ვოკალო-მუსიკალურ ლიტერატურაში ამისი მსგავსი არა დაწერილა. ამ ფუგას ჩვენ შეგვიძლიან მხარეში ამოუყენოთ მხოლოდ ბ. არაყიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“ რეჩიტატი-

ვი, **) რომელსაც ჩვენ თავის დროზედ უმჯობესად შევხებით, რადგანაც მთლიანი მსჯელობა ოპერაზე გადავდეთ იმ დროსთვის, როდესაც ბ. არაყიშვილი შეძლებას მოგვეცემა მოგვესმინა მთელი ოპერა. ამ რეჩიტატივში შეტანილია (თუ ხსოვნა არ მალატობს) კახური ჩაქრულა“ (მოკლე სუფრული) და ბ. არაყიშვილის საუცხოვითა აქვს შეზავებული.

ეს რეჩიტატივი და ფუგა რომ დაუბრუნდაპირით ერთი ერთმანეთს (იდეის გარეშედ, მუსიკალურ ნაწარმოების მხრით), ძალიან ძნელია სიტყვას კაცმა, რომელი სჯობია რეჩიტატივს აქვს მთლიან სიკარგესთან ერთად ისეთი დღეებითი თვისებები, რომელიც არა აქვს ფუგას, ფუგას კიდევ აქვს ისეთი კარგი მხარე, რომელიც არა აქვს რეჩიტატივს, მაგრამ ამ დეტალებზე ვილაპარაკებთ მიშინ, როდესაც გავარჩევთ ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ახლა-კი დაუბრუნდებით ფუგას.

ბ. ფოცხვერაშვილის შემოქმედებას თავის ფუგაზედ უკარგესი არა შეუქმნია-რა. აქედან ნათლად სჩანს, რომ ბ. ფოცხვერაშვილი თავისი თანდათანობითი ვარჯიშობით ხელს იტებს კომპოზიციების წერაში. რაც უფრო მეტს ისმენთ ფუგას, მით უფრო მეტს შთაბეჭდილებას სტოვებს თქვენზე. ფუგის იდეის თანდათან განვითარება და მერე ამ იდეის საესვებით გაშლა (მუშლი დიარჩო, მუხა გადარჩა) საუცხოვო და დამაკმაყოფილებელ გავლენას ახდენს, ისეთი შთაბეჭდილებას, რომელსაც სტოვებს ყველაზე დავითის შემბამ გოლიათთან და უკანასკნელის დამარცხება...

მართლაც „მუშლის“ პრობლემა გოლიათ-სავით დიადია, მაგრამ ამასთანავე ფაქიზი. ეს პრობლემა შეიცავს არამც თუ საქართველოს გარეშე მტერთან ბრძოლას, არამედ თვით მარადისობას, კაცობრიობის ურთიერთ შორის ბრძოლას. ამიტომ საშიშია, როდესაც

*) ფუგა — ისეთი უმაღლესი მუსიკალური ფორმა, სადაც მელოდია, ანუ თემა იმდერება ჯერ ერთ ხმაში, მერე რვა-რვაგად გადადის სხვა ხმებში და ამ რვაგად იგი ხდება მთელ მუსიკალურ ნაწარმოების შინა-არსად.

**) რეჩიტატივი — ისეთნაირი სიმღერა (ჩქარი, კითხვისებური, რომელიც აუცილებელია მუსიკის თვისება-ღირებულებას მალეოდინასა და რითმის მხარს უქცევს და მხოლოდ იმას ცდილობს. ტექსტი, ანუ სიტყვის შინაარსი გამოაშუქოს და ნათელჰყოს, ბ. ს.



პოლკორ.
გ. კიკვიძე



პოლკორ.
ს. ხაჩია

პრუსიის სამღვარზე ომში დაჭრილი, განკურნების შემდეგ ბოძოლის ევლზედვე დაბრუნდნენ.

პატარა კაცი, კომპოზიტორ-ს სახით; ეკვეთება ამ გოლიათისებურ იდეას და ლამობს მის დამორჩილებას.

მაგრამ როდესაც ქართველ ხალხის ჰენი-ამ ერთ ლექსის ტავაში და ერთ მუსიკალურ ფრაზაში მოათავსა მთელი საქართველოს ისტორია და თვით მსოფლიო მარადისობა, და როდესაც კომპოზიტორმა ეს პატარა ჰენის ამონაკენსი გაშალა, გაკიშა, გაფართოვა და დიდს ჩარჩოში ჩასვა, ამასთანავე თემატიური განვითარება პეისისა ისე ნათლად გამოხატა, რომ მუშლში ყრულ ჩასახული დიდი იდეა ყველასათვის თვალსაჩინო გახალა,—ეს ისეთი უნარია, რომლის შემდეგაც ყველა თავისუფლად ამოისუნთქებს და ვაშას დასძახებს კომპოზიტორს, რომ მან ასე სავსებით სძლია თავისი მუსიკალური თემა და მასში დამარბული დიდი იდეა.

ბეგრსა ჰგონია, ფუფა ძალიან ვაკიანურებელიაო. პირიქით, აქ არც ერთი მუხლი, არც ერთი ნოტა არ არის მეტი. როგორც პოეტურ ნაწარმოებს აქვს თავისი ნაწილები, ეგრედვე მუშლი მუხასაც; როგორც დიდს იდეის განმასახიერებელს პოემას, აქვს თავისი შესავლი, თხრობა, განვითარება და ნასკვი. და სწორედ ეს პიესის სული ცხადად და ნათლად არის გატარებული ფუფაში.

ასეთია ბ. ფოცხვერაშვილის შემოქმედება თავის ფუფაში, ასეთი მთლიანი, ღრმა და სასიამოვნო მოსასმენია იგი სხვა მელიოდებში, რომელსაც-კი კომპოზიტორი ხელსაჰკიდებს და ამუშავებს.

მაგრამ როგორია კომპოზიტორი დიდ სიმფონიურ ნაწარმოებში, ამაზე შემდეგ

„თავის განუტევა“*

(გურული სენა)

